www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2017

IV კვარტალი

19.02.2018

www.geostat.ge

19.02.2018

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2017 წლის IV კვარტალი)

<u>სასაკლაოები</u>

2017 წლის IV კვარტალში საქართველოში 72 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 18,1% - იმერეთში მდებარეობს, 16,7% ქვემო ქართლში, 15,3% - კახეთში, 12,5% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 12.5% - შიდა ქართლში, ხოლო დანარჩენი 24,9% სხვა რეგიონებშია განთავსებული:



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 77,5 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 46,1% მსხვილფეხა, ხოლო 53,9% - წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2585,4 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში 8047,3 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 40,2% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 45.3% - ფრინველის, 10,4% - ღორის, 4,1% - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო 0,01% - სხვაზე.

მომსახურება გაეწია 11,8 ათას პირს, საიდანაც 38,7% შინამეურნეობებების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 799 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლა - 23.3 ლარი, ცხვრის ან თხის დაკვლა - 9,6 ლარი, ხოლო ღორის დაკვლა - 20,7 ლარი.

__სამაცივრე მეურნეობები__

2017 წლის IV კვარტალში საქართველოში 34 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც თბილისში (29,4%) და შიდა ქართლშია (29,4%) განთავესბული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის (14,7%), იმერეთის (11,8%), კახეთის (5,9%), ქვემო ქართლის (5,9%) და გურიის (2,9%) რეგიონში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2017 წლის IVკვარტალი



2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 265 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 124 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 904 კაცით განისაზღვრა.

2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 65,3 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 60,9% ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 19,4% პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 10,0% - თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2017 წლის IV კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 3,6 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 3,6 მლნ. ლარი შეადგინა.

2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 27.8 მლნ. ლარის ღირებულების (6.2 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (49,4%) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 86,8% მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (50,9%), თევზეული (29,5%) და ქათმის ხორცი (14,6%) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ძირითადად ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) ოქტომბერში შეადგენდა 49,9%-ს, ნოემბერში - 50,2%-ს, ხოლო დეკემბერში 49,8%-ს.

ელევატორები

2017 წლის IV კვარტალში საქართველოში 38 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც (65,8%) ქვემო ქართლის რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 13,2% ფუნქციონირებს შიდა ქართლში, 10,5% - ქ. თბილისში, 7,9% - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 2,6% გურიის რეგიონშია წარმოდგენილი:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2017 წლის IV კვარტალი



2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 34 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 46 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა 1070 კაცით განისაზღვრა.

2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 192,9 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 77,7%-ს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ლობიო, ხახვი, ალაო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2017 წლის IV კვარტალი



2017 წლის IV კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 58,8 მლნ. ლარის ღირებულების 95,0 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 74,5% იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის დაახლოებით 86,2%.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიურმა დატვირთვამ (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) ოქტომბერში შეადგენდა 44,6%-ს, ნოემბერში - 38,2%-ს, ხოლო დეკემბერში - 35,7%-ს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge